

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი

| | |
|--------------------------|-----------------|
| თვილისში და გა- | ბაუზაინელი: |
| რეპე ადგილებში: მაგაზინი | — — — 6 მან. |
| ერთის წლისა — 7 მან. | — — — 3 — 50 კ. |
| ნახევარის წლისა — 4 — | — — — 2 |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — " — 75 კ. |
| ერთის თვისა — 1 — | — — — " — 15 კ. |
| საღვთის ნომრისა | |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულდები — ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

ს ა ვ რ ი თ ი კ მ დ ა ს ა ლ ი ტ მ რ ა ტ უ რ მ გ ა ზ ე თ ი .

წ ა ლ ი წ ა დ ი მ ე მ ე მ ს ე .

დროება

ხალის-მოწერა მიიღება:

თვილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თვილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღესი: Вь Тифлисъ. Вь контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. ძალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან — მაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

პეტარს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისაზე მიზნისა გამო, არ დაბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

ზინაარსი

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო : შოთის ამბები. — „დროების“ კორესპონდენცია, — შრიების მღვდლმარცხა-საქართველოში, — აბას-თომნიდამ („დროების“ კორესპონდენცია), — შუერის მჭავე წყლები, რაჭაში, — მსურვეთილად („დროების“ კორესპონდენცია), — ტელეგრამა. — ბიბლიოგრაფიული განცხადება.

შ ე ლ ტ რ ა ნ ი : სხელ-სხელი ამბები. აკ. წერეთლისა.

საქართველო

შოთის ამბები

(„დროების“ კორესპონდენცია)

(დასასრული)

ქუთაისში სტანცია როდი იქნება: ის ექვს ევრსზე მოშორებული რჩება. შეუძლებელია თქვას ეხლა კაცმა, რა ბოლო და მნიშვნელობა ექნება ამ გარემოებას ქუთაისის მომავალსთვის. თუ მე მეტის მეტათ არ ესცდები, ქუთაისში რომ რკინის გზას გაევიღო, ეს ქალაქი შემდეგში ძლიერ შესანიშნავ ქალაქათ შეიქცეობდა. მთელ ქავკასიაში იმას შოთის, თვილისის და ბაქოს მეტი ვერ აჯო-

ფელტონი

ც ხ ე ლ - ც ხ ე ლ ი ა მ მ ე მ ბ ი

ამ დღეებში ერთი საცოდაობა მოხდა გავლამ სილაზედ: ვიღაც უბედური ვაჭარი, რუსეთიდან ჩამოაული ფულის საძებნელად, ავაზაკებმა მოკლეს; მარჯვეთ კი ყოფილიყო საბრალო: თექვსმეტი კრილობა მიეღო, ბოლოს გავფატრათ, შიგნეული მთლად გამოეყრევიანებათ და იმას მაინც მოვსწრო ფანჯარაზე ვადახტომა და ფული ვერ წაერთმიათ... ამ საქმემ ბევრი ააშფოთა და ააღელა. ბევრი ბრალს პოლიციას ადებს, რომ ღამის ყარაულებს თუ არ ეძინათ იმ ღამეს, ყვირილი როგორ ვერ გაიგეს? ამასზედ შემიძლია მე დარწმუნებით მოვახსენო სულყოფილას, რომ პოლიცია, როგორც (სხვიმის) კვლავ, ისე იმ ღამესაც უხიზლათ იყო: ღამის 9 საათზედ მე ჩემის თვალითა ვნახე, რომ ღამის ყარაულები ფანრის სვეტებთან იდგნენ და გამეღელ-გამომეღელელებს უყვიროდნენ: „ვინ მოდის!“ რომ იმ ფანრების სიახლოს მოვკლათ ვინმე, მაშინ კი მართლა მათი ბრალი იქნებოდა, თორემ სადღაც ბნელ კუთხეში კაცს ააყვირებენ — იმის რა უნდა გაიგოს პოლიციამ? — ამას გარდა ზოგიერთები იმასაც ჰკვირობენ, ეს რა ამბავია, რომ მთავარიან ღამეში კი ანათებენ ფანრებს ქუჩებზედ და ბნელ ღამეში კი არა? მიკვირს ან ამის მიხედვითა რა გასაჭირია? შმთავრო ღამეში ფანრის სვეტებს ვერა ჰხედავენ, ვერ აგნებენ და მაშ როგორღა ანთონ ფანრები? მთავარიანში კი, როცა სვეტი რამდენიმე საყენზედა სჩანს, კიდევაც ანთებენ... არა, დაუჯინათ მაინც და მაინც, რომ ეს სულ მისი ბრალია, რომ ქალაქს...

ბებდა. მხლა კი ყოველად უეჭველია, რომ ამისთანა მნიშვნელობა იმას აღარ ეღირსება. მაგრამ სადამი მიაწევს მისი დამცირება? დარჩება ის სწორეთ იმ სიდე და იმ მნიშვნელობიან ქალაქათ, როგორც არის, თუ იმატებს, ან იკლებს? ამასზე ძნელია ნამდვილი და შეუცდომელი პასუხის მიცემა, მაგრამ მე კი მგონია, რომ კიდევ გვარიანათ იმატებს ჩვენი ქუთაისი, სანამ სამოსამართლო და სამთავრობლო ადგილები შიგ დარჩებიან. თუ ჩვენი ხალხი ისარგებლებს იმ სიადელით, რომელსაც ეხლა ზღვის სიახლოვე და რკინის გზის სიახვე აძლევს ჩვენი ნაშრომის და ბუნების ნაწარმოების გასასაღებლათ, უეჭველია, რომ რაჭის და მკრების ხეობის გამოვლა ქუთაისში და ახლო მახლო სოფლების სიმრავლე კიდევ ბრწყინვალე ბედს პირდება ქუთაისს. მაგრამ ვინ იტყვის ამ საქმეში უკანასკნელ სიტყვას? ალბათ ის, ვინც პირველი თქვა, — ესე იგი ვინც რკინის გზა ქუთაისს ააცილა...

ამარა, ჯერ-ჯერობით, რკინის გზაზე. — შეტყეულია, რომ „დროების“ შემდეგ ნომრებში, 15 აგვისტოდან დაწყებული, ხშირათ დაბეჭდება ამ გზის ამბები, აგრეთვე როგორც ნი-

კარგათ მიჰყავს და!... ახლა დაეანებოთ თავი პოლიციას და გადავიდეთ იმერულ ხაჭო-პურივით ოთხ-კუთხიან ქუთაისის დედა-კიბულეარზედ. დიდი მუშაობა ვახსურეც, სკრიან თხრილებსა და თულუხჩები კი იციან; ნეტავ რა აცინებსთ! ბულეარშივე იყიდება „ფაფის ყინული“ გასაგრილებლად და ვისაც ჰსურს მიბრძანდეს და მიართმევენ ქვეით ბულეარში. აქვე შეუძლია მოიხთოვონ სხვა და სხვა სასმელები... იქვე გაიგონებთ ამ სიმღერას:

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვლია!
ჩემო გულო, ტბილათ არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მართო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ.
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბულს ვადარებ
და მოწყვეთ ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვლია!
ჩემო გულო, ტბილათ არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არცინ მაძლევს სანუეგზოდ ძმურად ხელს.
ჩემს შარბათში ნაღველს ვჭერებ და ვარდში გველს,
მისთვის ვწვევლი და ვემღური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!...

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!

ადგი მჩვენებელი მისი მისელა-მოსელის და ფასების. ამ შემთხვევაში მეტის თქმა ამ საგანზე საჭიროც არ უნდა იყოს.

საზოგადოთ შოთხეც ის უნდა თქვას კაცმა, რაც წელან მე ქუთაისზე ეთქვი: ვინ იცის რა ბედი და მომავალი დაუწერია ამ ქალაქის შუბლზე მის გამჩენს! სანამ შოთში პორტი არ გაიმართება, ისეთი, რომ ზღვის გემებს ყოველთვის შეეძლოს რიონში შემოსევა და თავისუფლათ, ფურთქენის შეუბოვრათ, დაცულად-დატვირთვა, მანაძი შოთის მომავალი ყინულზე დაწერილი. — უნდა იცოდეთ, რომ ერთხანს აქ ხმა ვაერდა, ვითომც უმაღლესი მთავრობა ბათუმის შექმნას აპირებსო და მსმალეთის მმართველობაც თანხმად ფულათ გაყიდოს ეს ბოლოზიო. თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ შავ ზღვაზე ბათუმისთანა ბოლოზი, სებასტოპოლის და სტამბოლის მეტი არ მოიპოვება, და ეს ჩინებული ბუნებით დამარაგებული და შემკული ბოლოზი საქართველოს მიწაზე, შიგ ქართველ ხალხს შეიცავს — აჭარლებს, და მაშასადამე ჩვენი გულისთვისაც იმ ნაირათვე ძვირფასი და სანდომისია, როგორც ჩვენ გონებისთვისაც. მაგრამ, რასაკვირველია, ამ ბოლოზის ყი-

დის ამბავი არ გამართლდა: აბა რომელი სახელმწიფო შეეღვეა, მერე შავ ზღვაზე, ამ ნაირ ბოლოზს! მაშასადამე ჩვენ დაგვირჩა შოთი, რომლისთვისაც ბუნებას მოუკლია ბათუმის მსგავსი სიმდიდრე, და, მაშასადამე, ჩვენ მოვალეობათ დაგვირჩა შიგ ხელოვნური ბოლოზის გამართვა. ეს მშვენიერი საქმე იცისრა უფ. შავროვმა, რომელმაც 1862 რამდენიმე სტატია დაბეჭდა ერთ რუსულ ჟურნალში (Морской Сборник), „შოთში ბოლოზის გაშენების თაობაზე. ამ სტატიებში ის ისეთი რწმუნებით ამტკიცებდა შოთში ბოლოზის გამართვის სიადელიც, რომ წამკითხველებს არ შეეძლოთ არ დაეჯერებიათ მისთვის და მტკიცეთ არ დარწმუნებულნიყენენ მის აზრის სიმართლეში. რასაკვირველია, რომ ამ აზრის ასრულება მიანდვს თვითონ უფ. შავროვს, რომელიც თავდაპირველათ ხის სვეტებით აპირებდა საქმის დაბოლოებას. ხეები, როგორც იცით, იმას ქუებმა შეუქამეს, როგორც ამბობენ იმიტომ, რომ თავის დროზე მოჭრილი და მოჭრისთანავე ჩასობილი არ იყენენ, როგორც წყალში ხის ჩასობას შეეფერება. შემდეგ ამისა უფ. შავროვი ქვეითკირის შენებას მისდგა, მაგრამ ქვეც არ გამოადგა, რა მიზე-

ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვლია!
ჩემო გულო, ტბილათ არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რადს ველი, დრო არს განჭრეს იმედი;
ბინდ შევივის, ვერას მარგებს აწ ბედი,
დაშვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აბა ღმერთო, რა უღროვოდ დაბერდი:
საულავისკენ ვხვი გამიშვირია!...

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვლია!
ჩემო გულო, ტბილათ არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...


დაეუძღურდი, განჭრა გიყო ოცნება...
ნაღველანად ჩემს თავზედ მეცივნება
და ღმერთს ვეფერებ: „ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლაფში დაძინება!...
სჯობს სულ განჭრეს კაცი, რადგანც მტერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვლია!
ჩემო გულო, ტბილათ არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

ამ ტანჯვისგან საულავმა დამიფაროს!
როს ამ გულზედ მე მიწა დამეყაროს,
აგებ მაშინ სატრფომ იქ ჭაიაროს,
ჩემს საულავზედ ცრემლები დაღეროს,
რომ სხვებმაც სთქვან: „მხედავ რა მწუხარია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყვლია!
ჩემო გულო, ტბილათ არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

აქ. წერეთელი.



ზით—უცნობია. მკაზე დამდურებული უფ. შავროვი ბეტონის კეთებას მისდგა, ესე იგი ცემენტით და სხვა და სხვა შეზავებით დაფუძვლილი ქვისგან დამზადებულ ქვების, რომელთაც წყალში უარესათ გამოგრების თვისება უნდა ჰქონდეთ. საუბედურათ, ზოგ ბეტონს ზღვამ ქვიშა გამოაცალა და წააქცია, ზოგი ბეტონი თვითონ დაიფშვინა და დაიშალა წყალში, და ზოგს წყალმდინავ არ მიუწევია. რანდენიმე კი, ზღვის ტალღისგან გაღვეილი და ჩაქმულ-ჩამოქმული, ავღია წყალში გამგელვ-გამომგლვებისთვის გასახსენებლათ, რომ ეს ის ადგილია, სადაც უნდა გამოგებულყოფა შოთის ბოლოში, და იმ შენობაზე, რომელიც მეტროპის და სხვის შუა კარებთ და ხიდეთ უნდა ყოფილიყო, მარჯვეთ ვარჯიშობს შავი ზღვის სასტიკათ დამკინავი ტალღა, თითქო კაცს უნდა უთხრას: „შენისთანა ხელებით კი არ კეთდება ამისთანა კარები და ხიდო!“

ამ ბოლოზის გაშენების დაბრკოლებათ უფ. შავროვს მიანდა ფულის ნაკლებეცება, თუმცა მისგან მოთხოვნილი ფულა, როგორც გამოგონია, იმას არასოდეს არ დაკავებია. მე ნამდვილათ არ ვიცი, მაგრამ გამოგონია კი, რომ იმას ჯერ ასი ათასი მანეთით სდომია ბოლოზის გამართვა, მერმე სამასით, და ბოლოს სამი მილიონი უანგარიშნია, უთხოვია და კიდევ მიუღია. როგორ გგონიათ, უფ. რედაქტორო, ვიმიედლოთ ესლა ბოლოზის გაშენება თუ ვიფიქროთ, რომ გეომეტრიული პროგრესიის კანონებით მილიონებს ბოლო არ ექნებათ? მინ იცის! ვიტყვი მე ხელახლავ.

ამ ბოლოზს სხვაფრივაც აქვს დიდა გავლენა შოთის ეხლან დელ ბელზედ. მე შოთში ბევრს ადგილის პატრონს ვიცნობ, რომელთაც უნდათ სახლისა ან სხვა რისამე გაშენება შოთში, ან სასტუმროების გამართვა, ანა და სხვა რამე განზრახვა აქეთ შოთში დასახლების და ფეხის ჩადგმის შესახებ. მაგრამ ყველას ერთი აზრი და ერთი შიში აკავებს. შევლა იმას ფიქრობს: „ვინ იცის, ამ ორსამ წელიწადში შოთი სად იქნება, და ჩვენ აქ ჩვენი ცალიერი შენობა და გაწყობილება რომ ხელში შეგვაცოდეს, რაღა გვეშველება?“ მართლაც შოთი მდებარეობს რიონის მარცხენა მხარეზე ზღვისგან სამ ვერსზე მოშორებული. თითონ შოთის დასაწყისში რიონი ორათ იყოფა, და თავის ორ ტოტს შუა გვარიანათ მოხდომილ კუნძულს სტოვებს. ამას გარდა, ცოტათი დაბლა, ზღვისკენ, სამხრეთელი ტოტი თავის მხრით ორ უმცროს ტოტათ იყოფა, და ხელახლავ კუნძულს არღვენს, რომელიც ბევრათ ნაკლებია პირველზე. მაშასადამე, ნამდვილათ რომ თქვას კაცმა, შოთში რიონს სამი ტოტი აქვს, ჩ რ დ ი ლ ო ე თ ე ლ ი, შ უ ა თ ა ნ ა და ს ა მ ხ რ ე თ ე ლ ი. შოთი, როგორც ვთქვი, სამხრეთელი ტოტის მარცხენა, ესე იგი სამხრეთელ ნაპირზეა გაშენებული... უფ. შავროვმა საჭიროთ დაინახა ბოლოზის გამართვა ჩრდილოეთელ ტოტზე, რომელიც შოთიდან სამ ვერსზე მაინც არის მოშორებული. შექველია, რომ თუ ბოლოზი მართლა იქ გაშენდა, სადაც ესლა იმას მმართვენ, რკინის გზის სტანციაც და დამოქნის მაღაზიებიც ჩრდილოეთელ მხარეზე გაიმართებინ, და ზღვის ნაპირა ქალაქში, ხომ, ეს სამი შენობა—დამოქნა, სტანცია და ბოლოზი—შეადგენს უმთავრეს შუაგულ მარცვალს, რომლის გარშემო შენდება და გროვდება მთელი ქალაქი. შოთელიებიც ამ მიზნებით ფიქრობენ, რომ მარცხენა ნაპირზე სახლების, მაღაზიების და სხვა რამეების შენება უანგარიშობა არის და იქნება, თუ ბოლოზი ჩრდილოეთელ ნაპირზე გაიმართა. და თუმცა ყველას ამ ჩრდილოეთელ ნაპირზე სურს ადგილის შექმნაც და შენობების გამართვაც, მაგრამ იქ არაის ადგილის არ ურიგებენ და შენობის ნებასაც არ აძლევენ, იმ აზრით, რომ ეს ნება და ადგი-

ლი თუ მიეცათ, ესლანდელი შოთი ერთ თვეში დაცალიერდება და დაიშლებოა. იმის მიზეზი, რომ აქამდე შოთი „დროებით“ მდგომარეობაშია, და შიგ ყველაფერი „დროებით“ შენდება, „დროებით“ ცხოვრობს და „დროებით“ იცდის....

ეს „დროებითი“ ხასიათი მეტის მეტათ ატყვია ყველაფერს, რაც კი შოთში რამეა. სახლები თითქმის ყველა ფიცრის და ხის არიან. მხოლოდ შენობის მეტი ქვითკირის არ მოიპოვება. სახელმწიფო შენობები თითქმის სულაც არ მოიძიება შოთში. შევლა ისე დროებით ცხოვრობს შიგ, თითქო დღეს არ არის ხელ აყრა მოუხდებათ და სხვაგან გადასვლა და კოფნა, ცხოვრება. საზოგადოთ, შოთის მომავალი თითქმის არაის არ სწამს. „დღეს ვართ, ამობდენ ფოთელიები, ხელ—არაო.“ თითონ შოთის ბუნებაც იმნაირია, რომ ძლიერ ხშირათ ახსენებს თავის დაუდგომარობას. ხან რიონი მოდიდდება და შოთის ჭობებზე გადივლის, ხან პალიასტომის ტბისგან გამომავალი ძაპარკინა გადაივლის ზედ, ხან ზღვის ქარი ახდის სახლების სახურავს და სრულ მებატონეთ გატრიალ-გამოტრიალდება სადგომებში, ხან ნისლი დამალავს მთელს ქალაქს, ხან მზე გადაწვას დაუპირებს. მაგრამ ისიც კი არ უნდა დაეფიქროთ, რა იყო შოთი ამ თუთხმეტი წლის წინათ, როცა ეს ქალაქი მე პირველათ ვნახე! მაშინ ოთხი ქოხი იდგა შოთში, მაღლა სვეტებზე წამოკუნცებული; რომელიც შორიდან მარჯვეთ დაკაპიწვებულ ქალს ჩამოგავდენ, როცა ის ტანსაცმელს მუხლებამდე ამოიწვეს და წყალში გასვლას დაპირებს. არც მარჯვენით, არც მარცხნით არა ფერი ჰსჩანდა, წყლისა და ტყის მეტი. ზეით საძაგლათ მოღრუბლული ცა ფეხაკაცს თავზე და ქვეით შესაზიზღებელი ჭობი ჰქონდა, რომელშიაც ფეხი იფლებოდა კაცის უნებურათ... მსლა ტყე ამოუკაფათ, ცოტადენათ მაინც; ჭობებზე ზოგ ადგილას ქუჩებს გაუვლიათ, ზღვის ქვიშით და კენჭებით მოყრილს; შენობები გახშირებულან, აქა იქ მარჯვე ფეხი ჩაუდგამთ ავურის სახლებს, და ძველი ციხე, რომელსაც ესლა კაცი ნახევარი მიტრალვით აიღებდა, დაუნგრევით ბოლოზის ასაშენებლათ და საზოგადო ბაღის გასამართველათ. მე მითხრეს, რომ შოთში ესლა ჭობების დაშრობასაც ეპირებინანო, და ეს საქმე ინგლისელი ინჟინერი ს უ ი ნ ს ო ნ ი ს თ ე ი ს მიუწდევით. მის პროექტით მთელ ქალაქს გარშემო ერთი დიდი თხრილი შემოეცლება, რომლისკენ მრავალ წვირილმან თხრილებს გაეღებდენ, და რაკი ამ თხრილებში ჭობის წყალი ჩაიწრიტება, და მათი შემწვობით დიდ თხრილში გაეა, ეს უკანასკნელი წყალს ზღვაში შაიტანს და მიწა კი მშრალათ დარჩება. თუ ხეირიანათ გაივლო ეს თხრილები, შოთი მართლა დამშრალდება. და ერთიც ვნახოთ, რომ ამ თხრილების გაელების შემდეგ, ბოლოზმაც ქალაქი მარჯვენა ნაპირზე გადითრიოს, მაშინ—უფეველია—ესლანდელი შოთი მართლა მშრალათ დარჩება...

ალბათ ამავე აზრით ესლანდელ შოთის ბულეარზე აპირებენ პატარა ხელოვნური ტბის ამოთხრას, რომ ამ ტბამ ჩაიწრიტოს რაც ბულეარის ჭობებში წყალია, და მისგან ამოღებული მიწა კი თვითონ ბულეარის ამოღებას მოეხმაროს. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენმა თხამ მგელი დაიჭიროს!....

შოთის გარეგანი შეხედულება ამტკიცებს, რომ ამ ქალაქის მცხოვრებლები და ესლანდელი მათი უფროსი, უფ. ლაზარევიჩი, მართლა ცდილობენ ქალაქის გამშენიერებას და გალახათიანებას. ეს, რასაკვირველია, ჩინებულნი და ქების ღირსი საქმეა, და მე უნდა ვთქვა, რომ ამ მხრით მართლა დიდი წარმატება დამჩნევია ჩვენ მომავალ „პორტის ქალაქს.“ ღმერთმა ქნას, რომ ამნაირივე წარმატება დაეტყოს მის შინაგან ცხოვრებასაც—მაგალითად სასწაულებლებს და ღარიბების

ხელის გაწყობას. ღმერთმა ქნას, რომ იმ საზოგადოების დაახლოვებას, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენ შოთის კლუბი და ბულეარი, შოთის მუზიკა და სეირნობა, მოსდევდეს საზოგადო გონების და აზრის დაახლოვება და საზოგადოებრივი ცხოვრების შემოღება. ამ მხრით ჩვენ, ქართველებს, ბევრი რამ გვაკლია, და ცუდი არ იქნება, რომ ჩვენი ახალი, უმცროსი მოძმე ქალაქი, შოთი, ამ საქმეში წამქვებელ მაგალითს გვიჩვენებდეს.

მსლანდელ შოთის ცხოვრებაში ერთი შესანიშნავი მხარეა, რომელზედაც არ შეიძლება რომ ორიოდ სიტყვა არ გითხრათ. მასაქეთია, რაც შარშანდელმა ომმა საქვეყნო ვაჭრობა დააფრთხო და აღებ-მიცემა არია და დარია, მასაქეთია, განსაკუთრებით, რაც საფრანგეთის ძალა და შრომა ომის გარძელებას და მისი კეალის ამოხოცვას მოუწდა, შოთში საზოგადო ცხოვრებაც შევიწროვდა და აღებ-მიცემაც თითქმის განახევრდა. მთელი წელიწადია, თითქმის, რაც შოთში საქონელი არ მიუღიათ სამზღვარს გარეთიდან, რადგან უმეტესი ნაწილი საქონლისა აქ საფრანგეთიდან მოქონდათ. მაშასადამე შემცირდა კომისიონერების შრომაც, მუშების რიცხიც, ნაგების მუშაობაც, გაძვირდა საქონელი და ფული, და ქალაქი სანახევროთ დაცალიერდა,—რაკი დაცალიერდა დამოქნის და ცალკე პირების მაღაზიები. რომ წარმოიდგენს კაცი, რა მნიშვნელობა ჰქონია საფრანგეთს მთელი ქვეყნისათვის! რაა, ვთქვათ, შოთი? სად ეს ქალაქი,—სად პარიჟი, და კაცს გონია: მე რა შენაღვლება, სადაც ოხერ-ტიალებს ქვეყანაში რა ამბებიაო! მართლაც ასე უნდა გონებოდა კაცს. მაგრამ აი ესლა, იქ აყალ მაყალი მოხდა, მოხდა ომი, და ამ ჩვენი შოთის მედუქნეს შემოსავალი გაუნახევრდა, მაშულის პატრონს სახლები და შენობები ცალიერი დაურჩა, მუშა ხალხს შრომა მოაკლდა და ქირა შეუმცირდა, და ყველას ფულეები გაუძვირდა, ცხოვრების საშუალება დაუპატარავდა! მოდი ესლა, და ნუ გენაღვლება, „იმ ოხერ ტიალების ქვეყანაში“ რა და რა ხდება და რა კეთდება, მოდი და ნუ იკითხავ ამბავს, თუ იქ როგორ ცხოვრებენ, რას შერებინ და რას აპირებენ. თუ კი მათი სატიკიარი ჩვენ თავს გვაფხანინებს და ვაის გვაძახებს, მოდი და ნუ იკითხავ—რა ტკივა იმ „ოხერ ტიალების ქვეყანას“ და რა წამალი მოუხდება იმ ტკივილს!....

31 ივლისს მუთისი, 6. სკანდელი.

შრიბის მდგომარეობა საქართველოში

(შენიშვნა აკ. წერეთლის „სხელ-ცხელ ამბებზე.“)

ღღის სწორს ჩვენი ენამხილი თანამოძმე, აკ. წერეთელი, შეეხო თავის „სხელ-ცხელ ამბებში“ ერთ ისეთ საგანს, რომელიც ღირსია მიიქცეოს თავის თავზე საზოგადო ყურადღება, და რომელიც ადრე თუ გვიან მაინც ძალა უნებურათ მოითხოვს ჩვენ საზოგადოებისგან განხილვას და გაუფჯობესობას. ეს საგანი—ურების მდგომარეობა ჩვენ ხალხში, და ის მოქმედება და ხასიათი, რომელიც აბეჭდია ესლა იმათ ცხოვრებას.—მაგრამ აკ. წერეთელი შეეხო ამ საგანს მარტო ერთი მხრით, და ჩვენი აზრით ამ ნაირი შეხება როდი ჰყოფნის ამ საგნის გამორკვევას და ღირსეულ გაცნობას. ამის გამო ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ ორიოდ სიტყვა დაუმატოთ აქ აკ. წერეთლის ნაწერს.

ჩვენ სრულიად იმ თვლებით ვუყურებთ ურიების ეხლან დელ მოქმედებას ჩვენში, როგორითაც დაცქერის ამ საქმეს აკ. წერეთელი. მისსავით, ჩვენ გვეგონია, რომ ურიები ჩვენში—საზოგადოთ—ისეთ მოქმედებას და საქციელს ეტანებიან, რომელიც ნელ-ნელა ნიადაგ აღარიბებს და ასუსტებს ჩვენს

უიმისოთაც ღარიბს და უძლიერს ხალხს. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცი, რამდენი უმცირესი ნამდვილს ქეშმარიტებას სწავლობს, ჩვენს ხალხს, რომ ურიები არაფერს არ იწვევენ, არ ამრავლებენ შემოსავალს და საზოგადო სიმდიდრეს, არ ასაღებენ სხვა ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს, რომელიც აქ ტუულიათ ფუჭდება, და არ შემოაქეთ სამაგიეროთ ხეირიანი და ნამდვილათ გამოსადეგი ნაწარმოები სხვა ქვეყნებისა; ისინი მარტო ჭრელ-ჭრელი და ზია-ზია ჩითეულობით ჰკრებენ თითო-ოროლა შაურს, რომელიც გადაჩენია ჩვენებურ გლეხს, ორიოდ კრუხ-წიწილს, რომელიც გამოუხდია ჩვენებურ დედაკაცს, და ათიოდეთუმანს, რომელიც დარჩენია ჩვენებურ მებატონეს გლეხების გასათავისუფლებელ ფულადან. მათი ნიადაგი საშუალება არის მოტყუება, იაფათ ყიდვა, ძვირათ გაყიდვა, და ამ საშუალების ნიადაგი შემდეგი—ხალხის დაღარიბება და გამოწველა.—ეს ყველაფერი ქეშმარიტია, როგორც ის, რომ ამ ყამათ ისინი თითქმის ნამდვილ მებატონეთ გაუხდენ ჩვენს ვალში და ეახში ჩავარდნილ გლეხობას და თავად-ახნაურობას.

სწორეთ ამ ნაირათვე ქეშმარიტი და ნამდვილია მეორე შენიშვნაც, რომელიც აუწერია აკ. წერეთელს, სახელდობრ ის, რომ ურიები განგებ სცილობენ არ ვანათლოან და არ აღზარდონ ხეირიანათ თავიანთი ახალგაზლობა, და თითქმის განგებვე სცხოვრებენ გულის შემაზიზღებელ სინინტურეში.—მიმოვრებთ, ეს ნამდვილი გამოსახვაა ჩვენებური ურიების ესლანდელი მდგომარეობის და მოქმედების, და ამ საგანზე ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ჩვენ თანამშრომელს.

მაგრამ აქვე იწყება ჩვენი უთანხმოება. რაკი კაცი ამ გვარ შესანიშნავს და საზოგადო მოვლენას ხედავს, იმან თავდაპირველათვე, ამ მოვლენის გამოხატვის შემდეგ, ორი კითხვა უნდა მისცეს თავის თავს და ორივეზე პასუხი უნდა გამოძებნოს: 1) რისგან, რა მიზეზით და რა გზით წარმოებს ეს შესანიშნავი და საზოგადო მოვლენა, რას მოუხდენია ის და რას მიუცია მისთვის საკვები? და 2) რა ნაირათ, რა საშუალებით და რა გზით შესაძლებელია ამ მოვლენის გასწორება და თავიდან მოცილება.

ურიების მდგომარეობაზე ეს ორი კითხვა რომ მივეთ ჩვენ თავს, ჩვენ მაშინვე დაინახავთ, რომ ჩვენი მხრით ჩვენ არ უნდა გექონდეს უფლება იმნაირი სასტიკი და გარდაწყვეტილი სჯა გამოეთქვათ იმათ ხასიათზე და მოქმედებაზე, როგორიც გამოუთქვამს აკ. წერეთელს.

მართლაც, გავსინჯოთ, აბა, ეს ორი კითხვა, და მოვძებნოთ მათი საკადრისი პასუხი. მას აქეთია, რაც იერუსალიმის დაქცევამ ურიების ტომი მთელი დედამიწის პირზე დააბნია, იმათ სდევნიდა და მოსვენებას არ აძლევდა ყველა ხალხების სიძულვილი. შოველგან, სადაც კი ურიები დაბინავდებოდნენ, ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებს მიანდათ ღეთისგან დაწყველილ ქმნილებათ, და მათი შეურაცხყოფა, შევიწროება, ძაგება და დევნა მიანდათ ღეთის სამადლიერო და მოსაწონ საქმეთ. მთელ დედამიწაზე, სადაც კი ქრისტიანი და ურია ერთათ შეიყრებოდნენ, ურია ძალის მსგავს პირუტყვათ ითვლებოდა, და სწორეთ იმ ნაირათვე იღვენებოდა და იტანჯებოდა, როგორც სდევნიან და ტანჯვენ ცოფიან ძალს და ბინძურ პირუტყვს. ჩამდენი ათასი და ასი ათასი ურია გაწყდა და დაიხოცა ამ გვარ დევნაში და წვალებაში,—ეს ვის დაუთვლია... მაგრამ, თუმცა შესაფიქრებელი და მანებელი იყო ურიებისთვის მათი ხოცვა, დარჩობა და წვალება, უფრო მეტ ზიანს იმათ ის აძლევდა, რომ არაინ ამათ არ იკარებდა, ყველა იმათ ერიდებოდა და ყოველგან ისინი იძულებული იყვნენ ეცხოვრათ ცალკე უბნებში, ყველასგან მიტოვებულ კუ-

თხედავით, სადაც იმათ უნდა შემოველოთ მა-
ლალი კედლები, მაგარი ჭიშკრებით და კოშ-
კებით, რომ თავიანთი თავი საზოგადო ამო-
ქლევებისგან მაინც დაეფარათ.

ამ ნაირ მდგომარეობაში იყვნენ და იწე-
ვებოდნენ ურიები რამდენიმე საუკუნების
განმავლობაში, და მათი ტრადიციული და უფ-
რო მცირდებოდა, იყლიტებოდა. იმათ არა-
ფერი საშუალება არ რჩებოდათ თავიანთი ნა-
ციის და გვარის გადასარჩენათ, რადგანც იმათ
არავითარი უფლება არ ჰქონათ არც მიწა-
წყლის შეძინვისა, მუშაობით თავის დასარჩენ-
ლათ, არც სახელმწიფო სამსახურში თავის
რჩენისა, არც კერძო პირებთან ჯამაგირით
მუშაობისა, არც, ერთის სიტყვით, არაფრისა.—
ამ გვარ მდგომარეობაში, მიწისგან მოშორე-
ბული, საზოგადოებისგან განდევნილი და ყვე-
ლასგან ნაწველი ურია ან უნდა ჩამკვდარ-
იყო ძალისაგან, ან ისეთი რამ საშუალება
უნდა გამოეძებნა, რომელსაც იმისთვის თავის
დაცვის, რჩენის და ღირსების შექმნის ღონე
მიეცა.

იმ დროს საზოგადოება ორ ნაწილად იყო
გაყოფილი: ერთის მხრით იდგა დიდკაცობა,
რომელიც მართა რაინდობაში და ომიანო-
ბაში იყო გართული და გარჩეული, და მეო-
რე მხრით გლეხ-კაცობა, რომელიც მართა
მიწის შემუშავებით თავის თავსაც ირჩენდა, და
დიდკაცობასაც არჩენდა. ამ ორ ნაწილებს
შუა განუზომელი და განუმატელი სამხედრო
იღვა. ურიებმა ამ სამხედრო ფენის ჩადგმის
და გამაგრების საშუალება გამოძებნეს.—რად-
განც ისინი მაგრათ შემოზღუდულ და დაკე-
ტილ უბნებში იდგნენ, იმათ თავიდანვე უნ-
და ესწავლათ მთელი წლობით თავიანთი სა-
კოფი საკვების დამარაგება, რადგანც ისინი
ნიადგ მზათ უნდა ყოფილიყვნენ ექვს-ექვს
თვეობით და თითო წლობით თავიანთი მტე-
რების დაცვისგან შეენახათ თავიანთი უბნე-
ბი. ამ დამარაგებამ გაუხსნა ურიებს პირვე-
ლი გზა თავის საშველათ: როცა მებატო-
ნე-რაინდი მტრისგან ახრებულ გლეხებიდ-
გან საკმაო საკვებს ვეღარ მოულობდა, და
თვითონ გლეხებიც თითქმის შიმშილით უნ-
და ამოქლევდნენ, ურიები სხვა და სხვა
მათის სახეირო პირობებით ასესებდნენ ხან
მებატონეს, ხან გლეხს ცოტადენ საკვებს,
და სამაგიეროთ მებატონე და გლეხები იმათ
რამდენიმე ხნის მშვიდობიანობას და დიდ მო-
გებას აძლევდნენ. საკვებს მალე ფულიც წაო-
წვია, და ამ გვარივე მოხერხებით თან და თან
და ნელ-ნელა ურიები შეიქნენ ეპურებათ და
ფულის მებატონეთ.

თავდაპირველათვე ყველასთვის ცხად-საქ-
მით შეიქნა, რომ ის ურია, რომელსაც უფ-
რო მეტი შეძლება ჰქონდა, უმეტეს ხათრს
და თავზიანობას ეღირსებოდა ქრისტიანების
მხრით. შული და შეძლება აჩერებდა ქრისტი-
ანებს, ისინიდა ურიას გაჭირებისაგან, რო-
გორც მშვიდობიანობის დროს, როცა ქრის-
ტიანე ურიის მომადლიერებას და მისგან ფუ-
ლის სესხებას სცდლობდა, ისე ბრძოლის
დროს, როცა ფულის მიცემით ურია სიკვდი-
ლისგან და ტყვეობისგან თავს იხსნიდა. მა-
რად ურიებმა დაინახეს, რომ ამ ქვეყანაში და
მთელ დედამიწაზე ბედს მათთვის ფულის მე-
ტი სხვა იარაღი არა მიუცია რა თავის შესა-
ნახათ და გადასარჩენათ, იმათ, რასაკვირვე-
ლია, ფული მეორე ღმერთათ გაიხადეს, და
მის ძებნაში, მოგებაში და შენახვაში ჩასდ-
ევს მთელი თავიანთი სული, არსება და ნი-
ჭი. მაშასადამე, სრულიადც გასაკვირველი არ
უნდა იყოს, თუ ფულის მოსაგებათ ურია
არავითარ საშუალებას არ ზოგავს, თუ ის სი-
კრუვესაც ხმარობს ამ მიზნისთვის, სიკალებ-
საც და ავაჯობასაც, თუ ის არავის ზოგავს,
ოღონდ კი ფული ხელში მოიგდოს, და თუ
ნაშრომნი ფულის შენახვისთვის ის გასაკვირ-
ველ და წარმოუდგენელ სიბინძურეში სცხო-

ვრობს და სიძუნწეს ეჩვევა.— ჩვენ ბევრ პირს
ვიცნობთ, დედა-მამაზე, რომლებსთვის ფული
სრულიადაც ისე საჭირო არ ყოფილა და არ იქ-
ნება, როგორც ურიებისთვის, მაგრამ ისინი
ურიებზე უარესს საშუალებას ხმარობენ მის
შესაძინებლათ და უარესი სიბინძურით და
სიძუნწით ინახვენ ამ ნაირათ შეძენილ ფულს...

აი ეს გახლავთ პირველი კოთხის გამოკ-
ვლევა და ახსნა. მსლა გარდავიდეთ მეორე
კოთხისკენ.

რაკი საზოგადოებამ და ხალხმა დაინახა,
რომ ურიების აღებ-მიცემა და მათ ხელში
ფულის დაგროვება მეტის მეტათ საფრთხილი
იყო მთელი ხალხისთვის, ყველამ მაშინვე მო-
ინდომა როგორმე უფრო შეევიწროებათ
ურიები და მათ ხელიდგან თავიანთი თავი
ეხსნათ. მაშინ სარწმუნოების სიძულვილს და-
ემატა ეკონომიური მდგომარეობისაგან წარ-
მოშველი მტერობა, ურია შეიქმნა უფრო
საზიზღარ და სასტიკ მტერათ.— მაგრამ ათასი
წლის დევნამ და შევიწროებამ, მასაქეთია,
რაც ურიებმა ფულის ფასი და მნიშვნელო-
ბა გაიგეს, იმათ ვეღარა დაკლო. მა თუმც
მათ წინააღმდეგ გამოსცენ ათასნაირი სასტი-
კი კანონები, თუმც იმათ უწინდელურათ
სდევნიდნენ, ჰკლავდნენ, სტანჯიდნენ და ცარ-
ცეავდნენ, მაგრამ მათი ძალა და მოქმედება
მაინც უფრო-და უფრო ძლიერდებოდა, რად-
განც ერთ დღეს გამოცემული კანონი მეორე-
დღეს, ფულის საჭიროების დროს, გამოცე-
მელისგანვე ირღვეოდა და ფულის პატ-
რონი ურია უფრო მეტ საშუალებას პოუ-
ლობდა ხეირიანი იარაღით და ნაქირავები ჯა-
რით თავისი უბნის და ქალაქების დასაცველათ.
ამ გვართ რჩებოდა ურია საზოგადო სიმდი-
დრის მფლობელათ, მაგრამ ბინძურ და უზ-
დელ მფლობელათ, და უწინდელი ბინძური
ძალი, ხალხის თვალში თუმც ისევე ძალათ
დარჩა, მაგრამ მარჯვე და ძლიერ ქოფაკათ,
რომელსაც ყველა კი ვერ წააგლებს ხელს
კუდში, და რომელსაც ხშირათ შეუძლია
თავისი გამაბრავებელის კუნთის გამოგლეჯა...

ამ მდგომარეობაში იყო ურიების ბედი
მთელ მეროპაში წარსულ საუკუნეებში, რო-
დესაც ახლმა შილოსოფიამ მეროპიელ სა-
ზოგადოების გონებაში ახალი სინათლე და
ახალი სიმართლე შეიტანა. — რაკი ამ ფი-
ლოსოფიას სიფუძვლათ ჰქონდა, სხვათა
შორის, სხვისი აზრის და რწმუნების პატი-
ვისცემა და მოთმენა (терпимость), უეჭვე-
ლია, რომ იმას ურიების ბედისთვის და
მდგომარეობისთვისაც უნდა მიეცია ყურად-
ღება. მა როცა დიდი და გამწარებული ბრძო-
ლის შემდეგ, ლესინგის, მენდელსონის და
მსგავსების შრომამ დაამტკიცა, რომ ურიებიც
ღვთისგან გაჩენილი კაცები არიან, რომ
იმათაც უცემს გული, აქეთ გრძობა და გო-
ნება, რომ ისინიც ღირსნი არიან სწავლისა
და საზოგადო უფლებებისა, — მაშინ დაიწყო
ახალი ერა ურიების ცხოვრებისა. რაკი ური-
ებიც მიიღეს სასწავლებელში, რაკი იმათაც
მისცენ სწავლა და ისინიც ეღირსენ საზოგა-
დო უფლებების მიღებას, მაშინ აღმოჩნდა,
რომ ისინიც საზოგადოებისთვის სასარგებ-
ლო კაცები არიან, რომ იმათაც შეუძლიანთ
სიკეთის მოტანა და პატიოსნათ შრომა. მა
აქვლა ინგლისში, მეროპაში და განსაკუთ-
რებით ამერიკის შტატებში ისინი იმნაირივე
როლს თამაშობენ და იმ გვართვე მიღებუ-
ლი არიან, როგორც დანარჩენი კაცები, და
არავის არ ამოუღია ხმა დასამტკიცებლათ,
რომ ისინი სხვებზე ნაკლები ან უარესები
იყვნენ. ან ვინ გაბედავდა ამის თქმას, იმ
დროს, როდესაც სწავლაში, პოეზიაში, ხელო-
ვნებაში, პოლიტიკაში, ერთი სიტყვით ყოველ
გვარ საქმეში, ურიებმა აღმოაჩინეს საკვირვე-
ლი ნიჭი, გონება და პატიოსნება, და ამ გა-
რემოებით ჩვენებს თუ არ გადააჭრბებს, უკან
მაინც არ ჩამორჩენ მინ გაბედავდა ამის

თქმას, იმ დროს, როცა ცხოვრებდნენ და მო-
ქმედებდნენ იმისთანა პირები, როგორც მენ-
დელსონი, ლენინი, ბორნე და ათასი სხვა?
მა ამ ნაირათ ეს საქმე სრულიად დაბოლო-
ვდა ყველა განათლებულ ქვეყნებში, ისე,
რომ ურიები ყველგან ღვთისგან გაჩენილ
ჩვენისთანავე კაცებათ იცნეს, და ყოველ-
გან, თითქმის, იმნაირივე უფლებები მისცენ,
როგორც დანარჩენ ხალხს და საზოგადოე-
ბას ჰქონდათ.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენშიაც გა-
დასახლებით და შევიწროებით, პარასკობის
მოშლით და კუნძულზე გადენით ურიებს
ვერანენ ვერ მოარჯულებს. თუ ჩვენ საზო-
გადოებას ისინი მანებელ პირებათ მიჩნია,
ეცადოს რომ ურიების შეილება ჩვენ შეი-
ლებთან იზღებოდნენ, რომ ყოველ ყმაწვილს—
ურიის იყოს თუნდ ქრისტიანის— მიეცეს უსა-
თუოდ ხეირიანი სწავლა, რომ მათ წინ გახ-
სნილი იყოს იმნაირივე მომავალი, როგორც
გახსნილია ჩვენებური ყმაწვილების წინ, რომ
მათ იმნაირივე უფლება ჰქონდეთ ყველა-
ფერში, როგორც ჩვენებურებს აქეთ— და მა-
შინ ნახათ, რომ ერთი-ორი თაობის შემდეგ
ურიები იმნაირივე ქართველები გახდებიან,
როგორც ჩვენი შეილები იქნებიან, რომ ისინი
ხეირიანათ და ძმურათ გამოგვადგებიან
ჩვენ ქირში და ლხინში და ეხლანდელი შე-
ურაცყოფის და მტრობის მაგიერ, ეხლანდელი,
შევიწროების და გამოხსნის მაგიერ, ძმურათ
შეგვიდგებიან ჩვენ საზოგადო უფლებში, თუ
ჩვენ იმათ ძმურათ წილს დაუდებთ საზოგა-
დო სიკეთეებით სარგებლობაში.

ნ. სკანდელი
16 აგვისტოს 1871
თფილისი.

აბას-ტუმნიდა
(„დროების“ კორესპონდენცია)

ჩვენს დედა-ქალაქში ისეთი სიციხეები და
გოლეა იყო, რომ ვისაც კი ცოტადენი
დრო ჰქონდა და ჯიბეში თავები არ დაუ-
სერიანობდნენ, ყველამ დაიხვია იქიდან თავი და
გაიფანტნენ დედა-მიწის უფრო გრილ მხა-
რებში. ამ თფილისიდან გამოქვეყლების
რიცხვში ურევივარ მეც: სრული ერთი კვი-
რაა დღეს, რაც, თფილისის სულის-შემხუთ-
ველ სიციხეებისაგან გამოქცეული, მე გამო-
ემგზავრე აბას-ტუმნისაკენ და ესტუმრები აქა-
ური მშვენიერი ჰაერის სუნთქვით, აქაური ბუ-
ნებისა და საზოგადოების ცქერით და რო-
ტონდოში დროს გატარებით.

მე მეროპა არ დამივილია; არ მინახავს არც-
ერთი ისეთი ქალაქი და ქვეყანა, რომელშიაც
მეროპის განებერებული და შეძლებული კა-
ცობრიობა ზეფხლობით ვითომ ექიმობს, მა-
გრამ უფრო კი დროს ატარებს; არ მინახავს
არც ბადენ-ბადენი და არც მისბადენი, არც
მშვენიერი იტალია, არც კიდევ იმაზე უმშვე-
ნიერესი შვეიცარიის ალპები. მაგრამ ჩვენ
ახლა ისეთი ბედნიერნი ვართ, რომ, ცხონე-
ბული ბუტენბერლის წყალობით, შეგვიძლია
თითქმის სრულიად ცხადათ წარმოვიდგინოთ
ის, რაც თვლით არ გინახავს და რისგანაც
ას და ათას ვერსზე ვართ მოშორებული. მაინც,
წიგნების შემწვობით, მე ვიცი მეროპის შეძ-
ლებული და უსაქმო საზოგადოება როგორ
ატარებს დროებას ამ მდნის წყლების ქალა-
ქებში და ქვეყნებში. სწორეთ იქაური ცხოვ-
რება წარმომიდგა მე თვალ წინ, როდესაც
ჩამოვედი აბას-ტუმანში და გავკრით გადავიე-
ლე თვალი აქაურ ცხოვრებას.

რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრება, როგორც
ჩვენი მდიდრები და იმათთვის დროს გასატა-
რებელი ადგილები უფრო მცირე და, ასე
ესთქვათ, მიკროსკოპიულია; მაგრამ ამ მიკ-
როსკოპიულს ცხოვრებაში, მდიდრებში და
სასიერო ადგილებში ისევე კილო და მდიდრე-

კილება სჩანს, რაც მეროპაში. ეს ხომ ყო-
ველთვის ასეა: ყმაწვილი ხალხი უნდა ახლო-
გამს, პირველათ თითქმის-ყოველთვის გინე-
ბას და მალე ქუსლებიან წაღებზე შედგო-
მას სწავლულობს ხოლმე უფროსებისაგან.
მეგობრული ფაქტებიდამ დაინახეთ,
რომ მე არც აბას-ტუმანსა და არც ჩვენ სა-
ზოგადოებას ამ შემთხვევაში ცილს არა ესწა-
მებ.

თქვენ უნდა მოგესხნებოდეს, რომ წლე-
ვანდელ წლამდი აბას-ტუმნის მდნის წყლები
ახალციხის სამხედრო მმართველობის ხელში
იყო. ისიც უნდა მოგესხნებოდეს, რომ ამ
წყლებით ადრე ყველაზე უფრო მომეტებუ-
ლათ სამხედრო სამსახურში მოსამსახურე პი-
რები სარგებლობდნენ. ამბობენ, რომ ყოველ
ზაფხულობით იკრიბებოდნენ აქ მთელი ძე-
კასილამ ავთიმყოფი და ხან ჯანმთელი აფიც-
რები და ისე ექიმობას არა, როგორც ქალა-
დის თამაშს და საზოგადოთ დროს გატარე-
ბას ეტანებოდნენ. ზოგიერთები განსაკუთ-
რებით მხოლოთ ქალაქის ან ბილიარდის
სათამაშოთ მოდიოდნენ თურმე.

წელს აბას-ტუმნის მდნის წყლების უფრო-
სად დანიშნეს უფ. ექიმი რომერტი, რომელ-
მანც თავის მხრით აქ უფ. სკოროვი გამო-
გზავნა. ამათ სულ სხვანაირი წესების შემო-
ღება მოინდომეს აბას-ტუმანში და თავიდა-
ვე ამ ახალი წესების შემოღებამ ძალიან ააღლე-
ვა აქაური მარსის თავიანთსმცემლები. ამბო-
ბენ, რომ უფ. სკოროვი ხელმეორეთ შეა-
მოწმა ყველა აქაური „ავთიმყოფი“ აფიცრე-
ბი და უმეტესი ნაწილი იმათგანი ვერ იცნო
ავთიმყოფებათაო. ეს გარემოება უფ. სკოროვის
წარედგინა ღილის მთავრის ძეკასიის ნამესტ-
ნიკისათვის, რომელსაც განკარგულება მოეხ-
დინა, რომ „კარგათ მყოფი ავთიმყოფები“
უკანვე დაბრუნეთ თავიანთ სამსახურის ად-
გილზედო.

ეს ამბავი, რასაკვირველია, არ იამებოდათ
ზოგიერთ დედ-მამებს, რომელთაც, თითქო
გამოფენაზე, თავიანთი ქალები მოიყვანეს აქ
გასასაღებლათ და რომელთაც, ვინ იცის, იქ-
ნება ამ გასტუმრებულ აფიცრებშიაც ფეხლე-
ბოდათ საქმეობი თავიანთი გასათხოვარი ქა-
ლებისათვის.
მაგრამ ყველაზე უდიდესი მნიშვნელობა
აქარ დროს გასატარებელ ალაგებში უჭი-
რავს როტონდას, სადაც კვირაში სამჯერ
უკრავს მუზიკა და იმართება ცეკვა-თამაში.
მაცობრიობა დიდი ხანია მიღწევედა ბედნიერ
ცხოვრებამდი, ისეთი ერთგული მოსაქმე წვე-
რები რომ ჰყავდეს იმას, როგორც ამ როტონ-
დასა ჰყავს მოთამაშეები. ამბობენ, ზოგიერ-
თები ახალციხიდან, მუთისიდან და თფილი-
სიდან მხოლოთ სატანცოდ მოდიანო. მარ-
თლაც, ვისაც უქმ დროების გატარება ჰსურს,
როტონდა ძალიან კარგი ადგილია: საღამოს
ექვს-შვიდს საათზე ყველა გასასაღებელი საგ-
ნები აქ არიან გამოფენილნი; ჩააღებ ხელს
რომელსაც გნებავს, და დატრიალებ, და ამ
ტრიალში ტვინ იისეთ მდგომარეობაში მოდის
რომ კაცს ეს „სოფელი ცრუ და მუხთალი“
სრულიად ავიწყდება; და რადგან ჩვენი ცხოვ-
რება მუდამ მწარეა, მითხარით, ვის არ უნდა
ესიამოვნებოდეს ამ სიწარის დაიწყებაში!...

როტონდას გარდა სხვა დროს-გასატარე-
ბელი ადგილი აქ არა არის რა. მაგრამ თეი-
თონ მთელი აბას-ტუმანი და მისი მშვენიე-
რი არე-მარეები რომელ დროს-გასატარებელ
ალაგებსა არ სჯობია! აღმოვალოთთ და და-
საუღეთთ აბას-ტუმანს დასჩერებთან კარგა
მოზილი მთები, რომელნიც შეადგენენ იმის
ახლანდელ და მომავალს იმედს, რადგან ყვე-
ლა აქაური მდნის წყლები ამ მთებიდან გა-
მოდიან. მარჯვნივ ახალციხის გზის ხეობა და
მარცხნივ მშვენიერი მუთისის გზის (ზეკარის)
ხეობა. ამ ხეობებში და მთებზე, მგონი, ერთი
არმინი მიწა ვერ იპოვნათ, რომ იმაზე მოსიე-

რნე კაცებისა და განსაკუთრებით ქალების კვალი არ აჩნდეს. სიერობა მინდვრებში, ტყეში და მთებზე მთელი დღის განმავლობაში ყოველ საათში შეიძლება რადგან თითქმის არასოდეს არც ძალიან ცხელა და არც ცივა.

მაგრამ ჩვენი დედობრივი სქესი ამას არ სჯერდება: ხშირათ ქუჩებზე რომ გავივლით, აქაც, როგორც სხვა ჩვენ ქალაქებში შენიშნავენ, რომ აქა-იქ ქალები დაბრძანებულან ოთახებში, მოჯდომიან სტოლებს და ისევე და ისევე ლოტას თამაშში ატარებენ დროებას.

ამას გარდა ჩვენი მოსული საზოგადოება ხშირათ პიკნიკებსაც მმართვეს ხოლმე. მაგრამ ამ პიკნიკების გამართვაში განსაკვირველი გაყოფა სჩანს: „მალაი“ საზოგადოების წევრები ცალკე მმართვეს და მთაბალისა ცალკე, სომხობა ცალკე, პოერები ცალკე და ლაქებიც ცალკე.

პოერების პიკნიკზე ერთ ახირებულ ამბავს ამბობენ; ამბობენ, ვითომ ერთ საღამოს მთელი აბას-თუმნის პოერები შეიკრიბნენ და დაფა-ზურნით და ყვირით არ აძინებდნენ აბას-თუმნის ავამთყოფებსა. ამის გამო აქაური პოლიციის წარმომადგენელი მიჭრილიყო მზარეულებთან და მოწოდებდა იმათ აღვლევებული სისხლის დამშვიდება; მაგრამ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, დამშვიდების მაგიერათ პოერებმა თვითონ პოლიციის წარმომადგენელს მიაცუნეს უპატრიურება. მეორე დღეს, დღის ოხრა საათზე, ყველა აბას-თუმნის პოერები ჩამოატარეს სალდათებშია ქუჩებში და მთელი დღე დამწყვედი იყვნენ. წარმომადგენელს აბას-თუმნელების მდგომარეობა! ავამთყოფები, რომელთაც პაერი ჭამა და სმა უხდებათ, ამ დღეს უსადილოთ დარჩნენ....

ამას წინეთ ერთმა აქაურმა მხიარულმა აფიცრმა ერთი ახირებული ლატარეია მოიგონა. მისთვის თავი ჩაადგო ლატარეიაში, იმ პირობით, რომ მართო ქალებს მოეწერა ხელი. ბილეთი მანეთად ყოფილიყო. შეკრებილი ფულები დანაშაული იყო ერთი აქაური ლარიბი სამდღელო პირისათვის. ამბობენ ამ ლატარეიაში 96 მან. შეიკრიბა. ამბობენ აგრეთვე, რომ ლატარეიაში ჩადგებული აფიცარი ერთ ახალ გათხოვულ ქალს ერგო და როდესაც ეს აფიცარი წითელ პერანგში შემოსილი და ტახტრეანზე დაჯდომილი მიიყვანეს იმ ქალთან, ქმარს ძალიან არ, ესამოგნა ეს ამბავი; მართლა ეგონა თურმე, დაეიდუბე კაცი, ახალ შერთულ ცოლს წამართმევს, და უთხრა დიდი ამბით მოსულ ხუმარა აფიცარს, რომ რახელი გაქვთ თქვენ ჩემ ცოლთან, იმას თქვენ ნახვა არა ჰსურსო.... და სხვა.

აბას-თუმნის ცხოვრებაში ბევრი რამ სხვაც შესანიშნავი და კალმის ღირსი მოვლინებები მოიპოვება, მაგრამ იმათი აწერისათვის თქვენ მორჩილ მონას დღეს სრულებით დრო არა აქვს, რადგან ის სხვა მხრისკენ მიემგზავრება.

Z. Z

აგვისტოს 8-ს.

უწარის მშავე წყლები, რაჭაში.

(„ლორების“ კორესპონდენცია)

ჩვენი რაჭა მიიქცეს თავის თავზე სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოსრულებების ყურადღებას როგორც თავის კარგის პავით, ვგრეთვე უწერის მჭავე წყლებით, მისაც უწერა ორ-სამ წელს აქეთ არ უნახავს, ეხლა რომ ნახოს, დარწმუნდება, რომ ის სწორეთ გაუმჯობესებულია; ნაცვლად უწინდლის უფარვის ორის სახლისა, აქაურს მცხოვრებლებს აუშენებიათ რამდენიმე გასაქირავებელი კარგი მოზდილი სახლები, სადაც კომფორტს შეჩვე-

ულს კაცსაც დაედგომება; აგრეთვე აუშენებიათ აბანო ქეთიკრისა და ზედ სადგომი სახლი დაუდგასთ, რომელიც აქამდე უბრალო ქობში იყო და რომელშიაც, ნაცვლად ეხლანდელის აუზისა, ერთი რაღაც პატარა საწინებლის მსგავსი იდგა.

აქ როგორც სხვა წლებში ამ წელსაც ჩვენი ახლანდელი სტუმრები გაპოქცევიან თავიანთ ცხელ ქვეყნებს, შეიკრიბნენ არიან და სიამოვნებენ აქაურის პაერი; მჭავე წყლებით, აბანოთი და სასუნებელით. *) ღილით, როგორც მზე მოჰყენს თავის ბრწყინვალეებას უწერის მთა-გორიან და ცოტადენს ეაკე არე-მარეს, გამოდიან თავიანთი ოთახებიდან და ჯგუფ-ჯგუფად ქმარ ცოლით, ძმა დით, ნათესავი ნათესავით ხელი-ხელ გაყრილი, მუსიკით მიდიან და მჭავე წყალზე შეიკრიბებიან ერთად, რომელიც სოფლის უწერის პირ და პირ, რიონს გაღმა, გამოდის; ამთგანს თვითთავს პარტიას თვითო ქიქა აქვს და რადგან წყალი ცოტა გამოდის პატარა ღარზედ, ამისათვის ხან ერთ ქიქას შეუშვერენ ღარ ქვეშ და ხან მეორეს, ასე რომ ხალხის სიმრავლისაგან ამ დროს წყალს შეწყვეტა არა აქვს. აქ დამსხდარნი კაცი და ქალი ხუმრობენ, ლაზღანდარობენ, და ერთი მეორეს სადღეგრძელოს სემს წყლით და ამ სახით ატარებენ დროებას თვითო ორ-ოლა საათობით. შემდგომ მზეც გააძლიერებს თავის სიციხოვლეს და ყველა ისინი დაბრუნდებიან თავიანთ ბინაზე, სადაც იქვეა აბანო და სასუნებელიც. შემდგომ ზოგი ბანაობს, ზოგი სასუნებელს ყლაპავს და სხვას სხვანაირათ უნდა შეიქციოს თავი, რადგან აქ მყოფი ყველანი წყლებისთვის არ არიან მოსულნი, არამედ ზოგნი დროების გასატარებლად.— ამასობაში სადილობის დროც მოვა, როდესაც ერთმანეთს იწვევენ სადილზედ და აქ კი, როგორც მჭავე წყალზედ წყლით დღეგრძელობა იყო, დღინით სადღეგრძელო განხირდება; საღამოთაც ამ სახით იწყებენ წყალზედ სიარულს და შექცევას; მაგრამ სოფლიდან ამ წყალმდე რიონზედ გასავალი ხიდი რადგან დაშორებით იყო თითქმის სამის ევრსით და ცუდი გზაც ჰქონდა, ამისთვის ბევრს ავამთყოფს უძენდებოდა სოფლიდან მჭავე წყალზედ მისვლა და ვინც მიდიოდა, თუ სიფრთხილით არ იყო, ნაცვლად სარგებლობის ბევრს ზარალსაც მისცემდა, ამიტომ რომ აქედამ სიშორისა და ცუდის გზის გამო დაილაღებოდა და იქ მისული ან დაღალული დაღვდა წყალს ან ოფლიანს დაჰკრავდა სიგრილვე; ეხლა აქ ახლოს გაუკეთებიათ ხიდი, სადაც სიშორე იქნება არა უმეტეს ერთის ევრსისა. აქვე ამ მჭავე წყლის პირზედ დაუწყიათ თალარის (ბესედკის) კეთება ამ დროებით პატიცემულს საზოგადოებას თავიანთის ფულებით, სადაც დაეტევა ორმოც კაცზედ მეტი.

მჭავე წყლით სარგებლობაზედ ვერას ვიტყვი; რადგან მკურნალობის ნაწილი ცოტა მესმის, მაგრამ გამოცდილებით მტკიცდება, რომ ყველა ავამთყოფისათვის არ არის სასარგებლო და აქ კი მოდიან განურჩევლად ვის რა ავამთყოფობაც უნდა სჭირდეს, და რადგან აქ, რაჭაში, დოქტორი არ არის, რომელმაც მისცეს მათ დარიგება—თუ ვის რა მოუხდება, ესე იგი ვისთვის მჭავე წყალია სასარგებლო, ვისთვის აბანო და სასუნებელი და ვისთვის არცერთი არ არის მოსახდენი, ამისათვის ზოგიერთს მთგანს ნაცვლად სარგებლობისა ზარალათ გარდაექცევათ ხოლმე. ბევრი მაგალითი ყოფილა, ავამთყოფი ცხენით

*) უწერა მთიან ალაგზე; ამ მთის ძირში, ერთ ალაგას, რამდენიმე პატარა-პატარა ნახვრეტები გაუკეთებიათ მიწაში. ამ ნახვრეტებში გროვდება ერთ გვარი ვაზი, რომელიც, როგორც ამბობენ, „ნახშირ-მჭავე“ ვაზი არისო და რომელსაც პირით დაეწაფებიან ხოლმე ავამთყოფები და ისუნთქავენ.

და ქვეითათაც მისული შემდგომ აქედამ ჯალაღირით წაუღიათ და ზოგს თავიც შეუწირავს.

ქურის მომსელელებისა იწყება უწერას შუამისილამ და თავდება აგვისტოს დასასრულამდე. წელს კი ნამეტანის სიციხების გამო უფრო ადრე დაიწყო და ბევრიც არიან მოსულები და, თუ ასრე გაგრძელდა ცხელი ტარონები, ეგონებ, აგვისტოს კიდევაც გარდაცილონ ამ ჩვენმა სტუმრებმა.

რადგან სიციხებმა თავი მოგვიგონა ამ საუბარში, ამისათვის ნამეტანი არ იქნება ამავდრეც ესთქვათ ორიოდ სიტყვა. მრი თვე გადის რაც რაჭაში წვიმა არ ყოფილა; სიციხეებმა და ქარმა ისრე გაახმო მიწა, რომ სიმიდები ნახოთ ყანებში სრულიათ გამზარია უტაროთ, და რომელსაც აქვს ტარო—უფარგისი და პატარა; იმედი არ არის, რომ ნახვეარი წლის საზრდო მოუეღეს აქაურებს. ს. სადმელს 25 რიცხვს წარსულის თვისას, სადაც შეკრებილნი იყვნენ სამის სოფლის კაცი, ქალი და ყმაწვილები, შემდგომ წირვისა აქაურმა სამდღელოებმა გარდინადეს პარაკლისი უწვიმობისათვის. ამ დროს რომ შეგვხედნათ ამათის ცრემლით ედრებისათვის, არ შეიძლება, რომ თქვენც არ შეგვწიროთ ორიოდ ცვარი ცრემლი. პურის მოსავალს თუმც არ ემდურთან, მაგრამ რაჭაში პურის ნაკლებობა ისრე არ შეაწუხებს ხალხს, როგორც სიმინდისა,—რადგან უმეტესად სიმინდის მოსავლით უფრო სარგებლობენ ოჯახში. პურძენი კი არ არის ძლიერ წამხდარი, მაგრამ, თუ ასრე გაგრძელდა სიციხე და ქარი, არც იმას დააყრის ხეირს.

მ. ა. შარაბიძე.

აგვისტოს 1871 წელს.

მ. ზ. შარაბიძე

„ლორების“ კორესპონდენცია

ჩვენი მზურგეთი თუმც პატარა ქალაქია, მაგრამ ხშირად შიგ ისრეთი საქმეები მოხდება, რომ, ეფიქრობ, არ იქნება ურიგო „ლორებს“ მოიხსენიებდეს ამ ამბებს. ამ უკანასკნელ ხანში ორი შესანიშნავი შემთხვევა მოხდა ჩვენს მიწარე მზურგეთში. ეს თუმც სხვებისთვის დიდი საქმე არ არის, მაგრამ ჩვენთვის, მზურგელეებისთვის, ისეთი საქმეა, რომელიც ღირსია სრული ყურადღებისა: ამას წინათ „საქართველოს ისტორიის“ დასაბეჭდავთ ქალაქიდან შეწვეწას იწერებოდნენ მზურგეთში. ამ შემთხვევისთინ გამოჩნდა ერთი კეთილი კაცი, რომელმაც იკისრა ფულის შეკრება და რიგანათაც ალასრულა. წარმომადგენელი! მზურგეთში ასი მანეთი შამოსწირეს „საქართველოს ისტორიისთინ“. ეს ისრეთი შემთხვევა არის მზურგეთისთვის, რა ყველა ჩვენი გაზეთები და ჟურნალები უნდა დაღადაბდენ; პიკნიკისთინ ანუ ქალაღდის სათამაშებლად, სატანცაოდ რა ყოფილიყო ფულის შეკრება, ამას გავეგებდი; მაგრამ ღარიბ მოსწავლეთათინ, შკოლებისთინ, ლიტერატურისთინ,—ეს კი ძრიელ გასაკვირი საქმე მოხდა.

უფრო ახალი ამბავი მოგახსენათ. ამ ხანში აქ იყო ქართულ ენაზედ წარმოდგენა: პირველად კომედია „მაცრა“ ბიორგი მრისთვისა და პანტომინა. „მაცრაში“ ყველა მოქმედნი პირნი ისე იყვნენ დარჩიულნი და ისრე კარგათ წარმოდგინეს, რომ დახელოვნებულ აქტიორებს დაედრებოდნენ. პუბლიკას უმეტესად აცინებდა მიკირტუმ მასპარისის ლექსები და ფრაზები და სიმართლით უნდა ესთქვათ, რომ წარმომდგენელი წმინდა სომხის ხასიათს ჰხატავდა. დანაშთენი მოქმედ პირების როლები: ივანესი, მადრიელის, რამაზის და ქალები—საც ძრიელ კარგათ ალასრულეს; ვგრეთვე პავლემ ბევრს აქაურ მოყვარულებს თეატრის გე-

მო დაუტკობ. მრთის სიტყვით, ამ წამთარშიაც და შარშანაც მზურგეთში შეგვხვდეთ იქვე წარმოდგენა, მაგრამ უკანასკნელში უფრო კმაშობედილება დატოვა ჩვენში, ისრე რომ ეხლა ყველანი მზათ არიან კიდევ რამდენჯერომე მოისმინონ ერთი და იგივე კომედია, ოღონდ კი წარმოდგინონ. ძიდეც აპირებენ წარმოდგენას სოფელს ნავომარში, სადაც დიდი თავყრილობა (ერობა) იციან ამ კვირებში. ეს კიდევ არაფერი, რომ წარმოდგინეს და თეტრის გემო გაუხსნეს მზურგეთის პუბლიკას ამ კეთილმა კაცებმა. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ ქალების როლებს ბავშვები არადგენდენ. იმედი, ჩვენი ქალებიც მალე შეუდგებიან მფილისის და მუთათის ქალების კეთილშობილოურ, პატიოსანს და მშვენიერ მაგალითსა. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამისიც მაღლობელი ვართ, მეტადრე იმისთვის, რომ ბავშვებმა საქმათ კარგათ ითამაშეს, როგორც კი შეეძლოთ.

იმ ფულებით, რაც წარმოდგენილამ შეკრიბეს და რასაც შეპკრებენ, აპირებენ აქ საზოგადო ბიბლიოთეკის გახსნას, რომლის საფუძველი პირველად ჟურნალების და გაზეთების გამოწერით დაიდება და შემდგომისთინ კიდევ ეცდებიან დაუშატონ რამოდენიმე ყოველწლობით. ამასთანავე ბევრმა ისურვეს ფულის შემოტანა წლობით, ოღონდ კი ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკით. ეს ისრეთი კარგი აზრია, რომ, ეგონებ, ეჭვი არავისა გქონდეთ, რომ ამისთანა ყრუ და წიგნებით ღარიბ ქალაქში დიდ სარგებლობას მისცემს საზოგადოებას.—ღმერთმა ქნას, რომ რიგანათ გათავდეს ბოლო ამ დასაწყისისა; ვისურვოთ, მკითხველო, გულითადი წარმატება ამისთანა კეთილ მშრომელთათვის.

ს. წუ — ძე.

11 ივლისს.

ბ ე ლ მ გ რ ა მ მ ა ა მ ი

პეტერბურლიდან მოსული.

ვერსალი. საერო (ნაციონალურს) ძრებაში მარცხენა მხარის დეპუტატებმა შეიტანეს წინადადება, რომ ტიერი სამი წლის ვადით შეიქცეს მთავრობის უფროსი და დაერქვას რესპუბლიკის პრეზიდენტი პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს ხელში აღმასრულებელი უფლება და ყველა საქმეები იმისგან ასრულებული მინისტრის ხელმოწერილი უნდა იყოს; მინისტრები პასუხის მგებელნი უნდა იყონ საერო ძრების წინაშე. უკიდურესს მარჯვენა მხარის წევრს შეაქვს საერო ძრებაში წინადადება, რომ ტიერს დემტკიცოს და მან განავრძოს ის უფლება, რომელიც მას მიენიჭა ბოროლში. ტიერი ითხოვს, რომ ორივე ეს წინადადება იქნეს დაუყოვნებლივ განხილული ძრება შეჩერდა ოცს მინუტს და შემდეგ ხმები ჩამოატარეს; იმ წამსვე განხილონ თუ არა ეს წინადადება.

გილიოზგრაფიული განცხადება.

მიღებულია მფილისში და ისყიდება ალადათოვის და სხვების წიგნების მაღაზიებში:

როსტური

ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია შავეკაძისა, აკაკი წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება
 გამოცემული
 ძირილე ლ. რ. თ. შ. ა. ნ. ი. ს. ა. ნ.
 მასი ერთი მანეთი